შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა № 249/ბ–1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2013 წლის 27 სექტემბრისს №249/ბ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

თბილისი „27." „სექტემბერი" 2013წ.

ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ავტომობილი 2003"** „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა შეყელაძის სახით, მხარეთა შორის 2013 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №249/ბ ხელშეკრულების მე–10 პუნქტის 10.3. ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანს წარმოადგენს, მხარეთა შორის 2013 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული 249/ბ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ხელშეკრულების ღირებულების შემცირება.

1.1 მხარეთა შორის 2013 წლის 27 სექტემბერს #249/ბ ხელშეკრულების 2.1პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1 შემსყიდველმა განახორციელა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვა, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) რუსთავის დედათა და ბავშვთა სახლის საჭიროებისათვის ამორტიზებული საოფისე ინვენტარის გატანის მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ნარჩენებთან და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები – 90500000; დეტალური CPV – 90512000 - ნარჩენების გატანის მომსახურება) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **85,88** (ოთხმოცდახუთი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2. 2013 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 249/ბ ხელშეკრულების პუნქტები რომლებსაც ეს შეთანხმება არ შეხებია რჩება უცვლელად.

3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2013 წლის 27 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული №249/ბ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო სამი – „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ" ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"	შპს „შპს ავტომობილი 2003"
ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა	ქ. რუსთავი, მე-17 მიკრორაიონი #35
საქართველოს ბანკი	ს/ს „ლიბერთი ბანკი"ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალი
კოდი № BAGAGE22	კოდი # LBRTGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022	ა/ა № GE66LB0113115404217000
ს/კ # 205169592	ს/კ № 216398226
მარინა მესხი დირექტორი	გელა შეყელაძე დირექტორი